



პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

7.08.2017

7 აგვისტოს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ლომჯარია არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრას გამართავს.

შეხვედრის მიზანია 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგის საკითხებისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინადადების - პოლიტიკური დაფინანსების კანონიერებისა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგის საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის შექმნის შესახებ ინიციატივის გაცნობა.

აღნიშნულ შეხვედრაზე საკონსულტაციო/საინფორმაციო კომისიის შექმნის საკითხთან ერთად ასევე განიხილავენ აუდიტის სამსახურის რეგულაციებში ცვლილებების პროექტისა და შემოწირულებების მიმდინარე მონიტორინგის შესახებ.

სამუშაო შეხვედრაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახური გამოთქვამს სურვილს ითანამშრომლოს ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომელიც საარჩევნო თემატიკით არის დაინტერესებულ და რომელსაც საარჩევნო კამპანიის მონიტორინგის საკითხებში აქვს გამოცდილება.